ეშმაკი მოდის ერთ-ერთ თქვენგანთან და ეუბნება: ვინ შექმნა ეს? ვინ შექმნა ის? ბოლოს კი იტყვის: ვინ შექმნა შენი უფალი? როცა ის ამ კითხვამდე მიაღწევს, დაე, ითხოვოს ალლაჰისგან თავშესაფარი(თქვას: ა'უზუბილლაჰი მინა შშაიტანი რრაჯიიმ) და შეწყვიტოს მასზე ფიქრი

გადმოცემულია აბუ ჰურაირასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: " ეშმაკი მოდის ერთ-ერთ თქვენგანთან და ეუბნება: ვინ შექმნა ეს? ვინ შექმნა ის? ბოლოს კი იტყვის: ვინ შექმნა შენი უფალი? როცა ის ამ კითხვამდე მიაღწევს, დაე, ითხოვოს ალლაჰისგან თავშესაფარი(თქვას: ა'უზუბილლაჰი მინა შშაიტანი რრაჯიიმ) და შეწყვიტოს მასზე ფიქრი".

მოციქული მუჰამმადი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნობს მკურნალობის შესახებ, რომელიც მორწმუნეს დაეხმარება ეშმაკის მიერ ჩაგონებული საეჭვო კითხვების წინააღმდეგ ბრძოლაში, ეშმაკი იტყვის: ვინ შექმნა ეს? ვინ შექმნა ის? ვინ შექმნა ცა? და ვინ შექმნა მიწა? მორწმუნე პასუხობს რწმენით, თანდაყოლილი ბუნებრიობითა და გონებით: "ალლაჰმა", მაგრამ ეშმაკი ამ ჩაგონებებზე არ ჩერდება, არამედ აგრძელებს მანამ, სანამ არ იტყვის: "ვინ შექმნა შენი უფალი?" ამ დროს მორწმუნე ამ ჩაგონებას სამი რამით უკუაგდებს: ალლაჰის რწმენით. ალლაჰთან ეშმაკისგან შეფარებით. შეპყრობილი ფიქრებზე ზედმეტი ჩაღრმავების შეწყვეტით.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/65013

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY
لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee